


გზამკვლევი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩაბარების
მსურველი აბიტურიენტებისათვის



2018-2019

ბროშურა მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ (PITA) პროგრამის ფარგლებში.

პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრს“ და არ უნდა აღიქმებოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

შესავალი



გზამკვლევი, რომელიც ხელში გიჭირავს, შეიქმნა იმისთვის, რომ იოლად გაერკვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ საკითხებში: მიიღო შენთვის საჭირო ყველა ინფორმაცია რო-

გორც აკადემიურ მოთხოვნებზე, ასევე - სასწავლო პროცესზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე - ყველა იმ შემოთავაზებასა და შესაძლებლობებზე, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლები გთავაზობენ.

საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. პირველი ერთი წელი მთლიანად მიეძღვნება სახელმწიფო ენის - ქართულის შესწავლას.

თუმცა, სანამ ქართულ ენას სათანადო დონეზე



შეისწავლი, შეიძლება გარკვეულ პრობლემებს, სიძნელებებს წააწყდე...



სწორედ იმისთვის შეიქმნა ეს გზამკვლევი, რომ დაგეხმაროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში.

გამოიყენე ყველა შესაძლებლობა - ნუ შემოიფარგლები მხოლოდ

სასწავლო პროგრამით, აქტიურად ჩაერთე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში!

რატომ უნდა ჩავაბაროთ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე?

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა უკვე 8 წელია მოქმედებს. ამ ხნის განმავლობაში პროგრამა გაიარა და სხვადასხვა უნივერსიტეტში, სხვადასხვა ფაკულტეტსა და პროგრამაზე მოეწყო 5000-მდე სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტი!

2015 წელს უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს 1+4 პროგრამის პირველი გამოშვების სტუდენტებმა. ყველა მათგანი, ვინც აიღო უმაღლესის დიპლომი - დასაქმებულია!

შრომისმოყვარეობითა და ბეჯითი სწავლით გამორჩეულმა სტუდენტებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს: **სამირა**

ბაირამოვამ წალკაში დაამთავრა სკოლა; ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო მუშაობა ჯერ - სამოქალაქო რეესტრში, შემდეგ - ჟურნალისტად; თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან... 2014 წლიდან დღემდე იგი Mercy Corps საერთაშორისო ორგანიზაციის მონიტორინგის, შეფასებისა და კვლევის ოფიცერია.

ჯეიხუნ ნარზალოვმა მარნეულში სკოლა 2010 წელს დაამთავრა და იმავე წელს თსუ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩააბარა. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ჟურნალისტიკის სპეციალობა აირჩია და ახლა წარმატებული ჟურნალისტია...



ალინა სიმონიანიც მარნეულელია. მანაც 2010 წელს ჩააბარა ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამაზე. 2015 წელს მან სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და იმავე წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაასაქმა ახალქალაქში, პროგრამაში - „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“...

ლილით ოვანესიანი ახალციხიდანაა. მანაც ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩააბარა 2010 წელს. შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე, საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე

სწავლობდა. 2015 წლიდან დემოკრატიისა და განვითარების ცენტრის (CDD) რეგიონალური კოორდინატორი იყო, იგი ამჟამად სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეტაპტამენტის სამცხე-ჯავახეთის ოფისში გენდერის საკითხებში რეგიონულ წარმომადგენლად მუშაობს.



მიზამეტ ამ ახალგაზრდებს!

რა უნდა იცოდეთ აუცილებლად...

იმ პროგრამას, რომელზეც შენ ქართულ ენას სათანადოდ დაეუფლები, ეწოდება:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ეს პროგრამა ერთწლიანია, ის ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს და შედგება 2 სემესტრისგან - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან; შენ მოგიწევს ამ

ორი სემესტრის გავლა და სასწავლო წლის ბოლოს მიიღებ სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს შენს ცოდნასა და უნარს - შეძლო საბაკალავრო პროგრამაზე ქართულ ენაზე სწავლა.

ამის შემდეგ საშუალება გეძლევა, აირჩიო ნებისმიერი ფაკულტეტი, ნებისმიერი პროგრამა უმაღლეს სასწავლებელში და განაგრძო სწავლა მომდევნო 4 წლის განმავლობაში არჩეული სპეციალობით.

როგორ ხდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სასურველი უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის (პროგრამის) არჩევა?

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციას აბიტურიენტები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან (www.naec.gov.ge; online.naec.ge).

თქვენ იქვე შეგიძლიათ იხილოთ ინსტრუქცია და დეტალური ინფორმაცია. გირჩევთ, რეგისტრაცია გაიაროთ ქართული ენის კარგად მცოდნე პირთან ერთად...



არაქართულენოვან აბიტურიენტებს პირადი მონაცემების შეტანა, საგამოცდო ქალაქისა და ჩასაბარებელი საგნის (მხოლოდ

ზოგადი უნარების) არჩევა პირველ, ძირითად ეტაპზე მოგიწევთ. რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტით - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge). ამ პერიოდში უნდა მიუთითოთ ჩასაზარებელი საგანი და ენა, რომელზეც აპირებთ ზოგადი უნარების გამოცდის ჩაზარებას.

რეგისტრაციის კონკრეტული დღის (რომლის შესახებაც წინასწარ გახდება ცნობილი) შემდეგ აბიტურიენტი ვეღარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, თუმცა, შეგიძლიათ გამოცდის დამატება ან საგნის შეცვლა (მაგალითად: ზოგადი უნარები ქართულად შეიძლება ჩანაცვლდეს ზოგადი უნარების გამოცდით აზერბაიჯანულად ან სომხურად და ა. შ.).

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ საგანთა ჩამონათვალში ცვლილება ვეღარ განხორციელდება.

რაც შეეხება უნივერსიტეტისა თუ სასურველი საბაკალავრო პროგრამების ჩამონათვალს, მათი არჩევა თუ შეცვლა სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებამდე შეგეძლებათ.

რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა:

- უნდა გადაიხადოს გამოცდებში მონაწილეობის საფასური;
- აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი.



ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი (როგორც სკოლის მოსწავლე, ისე სკოლადამთავრებული და ექსტერნი) გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge.

მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში მიუთითებს ელექტრონული ფოსტის მისამართს,

რომელზეც მიიღებს პაროლს მომხმარებლის სახელით (ელექტრონული ფოსტის მისამართითა და მიღებული პაროლით აბიტურიენტი შედის სისტემაში, პირად გვერდზე).

რას ვაბარებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?



ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არაქართულენოვანი სტუდენტები აბარებენ **მხოლოდ 1 გამოცდას** ზოგად უნარებში მშობლიურ (სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ) ენაზე. მინიმალური ზღვრის

გადალახვის შემთხვევაში, აბიტურიენტი ხდება სტუდენტი.

გრანტს იღებს ყველაზე მაღალი შეფასების მქონე 200 სტუდენტი (100 - აზერბაიჯანულენოვანი, 100 - სომხურენოვანი).

რა დოკუმენტები დაგვჭირდება ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად?

სარეგისტრაციოდ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის / პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით);
- ფოტოსურათის (3x4) ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტუდენტთა რეგისტრაცია

პროგრამაზე დასარეგისტრირებლად აუცილებელია 2 სახის რეგისტრაციის გავლა:

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება;
- აკადემიური რეგისტრაცია.

სწავლის გადასახადი:

2019-2020 სასწავლო წლის საფასურია 2 250 ლარი (1125 ლარი - თითოეულ სემესტრში).

გრანტით მოხვედრილი სტუდენტები თანხას არ იხდიან.



სტუდენტური ცხოვრება

სტუდენტური ცხოვრება მხოლოდ ლექციებზე სიარულს არ ნიშნავს: თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, ძალიან საინტერესოდ გაატაროთ მომდევნო 5 წელი.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლისას, გახსოვდეთ, რომ თქვენ უკვე სრულფასოვანი სტუდენტები ხართ და იმავე უფლებებით სარგებლობთ, რა უფლებებითაც - საბაკალავრო თუ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები; ასე რომ, აქტიურად შეგიძლიათ ჩაერთოთ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში!



უნივერსიტეტებში არსებობს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ზრუნავენ სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაზე; გარდა ამისა, თბილისსა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებშიც ფუნქციონირებს **ახალგაზრდული ცენტრები**, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში იქნებიან თქვენთან კონტაქტში. თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობაში და ჩაატაროთ სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიება, მიმართოთ ამ ცენტრებს ნებისმიერი კითხვით, ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად. რათა თქვენი სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდეს...

გისურვებთ წარმატებებს!